სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №111
2019 წლის 31 მაისი

ქ. თბილისი

ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის, 9^1 და 56-ე მუხლების საფუძველზე,
ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების წესი“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი **ლევან კარანაძე**

ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების წესი

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის მოწმობის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების, განახლების, მოქმედების ვადის შეჩერების, აღდგენის, გაუქმების და აღიარების საკითხებს.
2. წესის მოქმედება ვრცელდება ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობაზე.

3. წესის მოქმედება არ ვრცელდება ზემსუბუქი საფრენი აპარატის საფრენოსნო პერსონალზე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები

1. წესში გამოყენებულ ტერმინებს ამ წესის მიზნებისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ავტოჟირი (მბრუნავფრთიანი ზსხ) – საჰაერო ხომალდი, რომლის მზიდი ხრახნი ბრუნავს ძრავასგან დამოუკიდებლად, გარდა თავდაპირველად მზიდი ხრახნის მოქმედებაში მოყვანისა, გადაადგილებისას შემხვედრი ჰაერის ნაკადის მოქმედების საშუალებით, ხოლო მამოძრავებელ ძალას წარმოქმნის საჰაერო ხრახნი;

ბ) ოსტატობის გაგრძელება – ოსტატობის მოქმედების ვადის განმავლობაში განხორციელებული ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც, მოწმობის მფლობელს საშუალებას აძლევს, დადგენილი მოთხოვნების შესრულებით, გააგრძელოს ოსტატობით მინიჭებული უფლებების გამოყენება შემდგომი განსაზღვრული პერიოდით;

გ) ოსტატობის განახლება – ოსტატობის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ განხორციელებული

ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც დადგენილი მოთხოვნების შესრულების შემდეგ, საშუალებას იძლევა შემდგომი განსაზღვრული პერიოდით განახლდეს ოსტატობით მინიჭებული უფლებები;

დ) დამოუკიდებელი ფრენა – ფრენა, რომლის განმავლობაშიც საჰაერო ხომალდზე იმყოფება მხოლოდ პილოტ-კურსანტი და დამოუკიდებლად ახორციელებს მის მართვას;

ე) ექსპლუატანტი – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ექსპლუატაციას;

ვ) ზემსუბუქი საფრენი აპარატი – საფრენი აპარატი, რომლის ცარიელი მასა ძრავას გარეშე არ აღემატება 70 კგ-ს, ძრავით – 115 კგ-ს, ხოლო საწვავის ავზის მაქსიმალური მოცულობა არ აღემატება 20 ლიტრს ან ნებისმიერი სხვა საფრენი აპარატი, რომლის კონსტრუქციის შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენს პარაშუტი;

ზ) ზემსუბუქი თვითმფრინავი – არაუმეტეს ორი სავარძლით აღჭურვილი თვითმფრინავი, რომლის გაზომვადი უმართავი ვარდნის ფრენის სიჩქარე ან მინიმალური დამყარებული ფრენის სიჩქარე დაფრენის კონფიგურაციაში არ აღემატება 45 კვანძს (CAS), მაქსიმალური ასაფრენი მასა ხმელეთის ზედაპირიდან ექსპლუატაციისას არ აღემატება 600 კგ-ს, ხოლო წყლის ზედაპირიდან – 650 კგ-ს;

თ) ზემსუბუქი საჰაერო ხომალდი – არაუმეტეს ორი სავარძლით აღჭურვილი საჰაერო ხომალდი, რომლის მაქსიმალური ასაფრენი მასა ხმელეთის ზედაპირიდან ექსპლუატაციისას არ აღემატება 600 კგ-ს, ხოლო წყლის ზედაპირიდან – 650 კგ-ს;

ი) ზსხ-ის **განსხვავებული სახეობა** – ერთ კლასს მიკუთვნებული ზსხ ან ზსხ-ების ჯგუფი, რომელსაც გააჩნია სხვაობები იმ ზსხ-თან მიმართებით, რომლის ოსტატობასაც ფლობს პირი და საჭიროებს გაცნობით (Familiarisation training) ან სხვაობათა სწავლებას (Differences training);

კ) ზსხ-ის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობა (შემდგომში – ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობა) – ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ექსპლუატაციის განხორციელების უფლებამოსილების მქონე შესაბამისი მოწმობის მფლობელი პირები;

ლ) ზსხ-ის კატეგორია – განსაზღვრული ძირითადი მახასიათებლების საფუძველზე საჰაერო ხომალდების კატეგორიებად დაყოფა. ზსხ იყოფა: თვითმფრინავის (უძრავი ფრთა), შვეულმფრენის (მოძრავი ფრთა), ავტოჟირის (მბრუნავი ფრთა) და მოტოდელტაპლანის (მოქნილი ფრთა) კატეგორიებად;

მ) ზსხ-ის **მეთაური** – სხ-ის ფრენისას, მის მართვასა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პილოტი;

ნ) ზსხ-ის **ფრენის დრო გულისხმობს:**

ნ.ა) თვითმფრინავისთვის, ავტოჟირისთვის, მოტოდელტაპლანისთვის – საერთო დროს აფრენის მიზნით, საჰაერო ხომალდის მიერ მოძრაობის დაწყებიდან ფრენის დასრულებისას მის შეჩერებამდე;

ნ.ბ) შვეულმფრენისთვის – საერთო დროს შვეულმფრენის მზიდი ხრახნის ბრუნვის დაწყებიდან ფრენის დასრულებისას შვეულმფრენის სრულ გაჩერებამდე და მზიდი ხრახნის ბრუნვის შეჩერებამდე;

ო) თვითმფრინავი (უძრავფრთიანი ზსხ) – ძალური დანადგარის მეშვეობით მოძრავი ჰაერზე უფრო მძიმე საჰაერო ხომალდი, რომლის ამწევი ძალა უძრავ ფრთებზე აეროდინამიკური რეაქციის საშუალებით წარმოიქმნება;

პ) კომპეტენცია – დავალების განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისად შესასრულებლად საჭირო უნარების, ცოდნისა და დამოკიდებულების ერთობლიობა;

ჟ) კომპეტენციის შეფასება – ფრენის ინსტრუქტორის ან ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მიღების, მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, უნარების, ცოდნისა და დამოკიდებულების წარმოჩენა;

რ) მარშრუტზე ფრენა – გაფრენისა და მიფრენის პუნქტებს შორის შესრულებული ფრენა, რომელიც ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი მარშრუტითა და სტანდარტული სანაოსნო პროცედურების გამოყენებით;

ს) მგზავრი – პირი, რომელიც იმყოფება სხ-ის ბორტზე ზსხ-ის მეთაურის თანხმობით, გარდა ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობისა;

ტ) მოტოდელტაპლანი (მოქნილფრთიანი ზსხ) – ძრავიანი საჰაერო ხომალდი კარკასული მბრუნავი ფრთით და ფიუზელაჟით, რომელიც პილოტის მიერ მართვადია, მხოლოდ ტანგაჟისა და დაფერდების კუთხეების მიმართულებით, ფრთის მიმართ საჰაერო ხომალდის სიმძიმის ცენტრის ცვლილების საშუალებით. საჰაერო ხომალდის ფრენის მართვა დამოკიდებულია ფრთის მოქნილად დეფორმირების შესაძლებლობაზე;

უ) ოსტატობა – მოწმობაში შეტანილი ჩანაწერი, რომელიც განსაზღვრავს მოწმობასთან დაკავშირებულ სპეციალურ პირობებს, უფლებებსა და შეზღუდვებს;

ფ) პილოტ-კურსანტი – პირი, რომელიც პირველად გადის საფრენოსნო მომზადებას სასწავლო დაწესებულებაში;

ქ) პილოტის ეროვნული მოწმობა (შემდგომში – მოწმობა) – ამ წესის შესაბამისად, სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს საქართველოს საჰაერო სივრცეში ზსხ-ის საფრენოსნო ექსპლუატაციის განხორციელების უფლებას;

ღ) საკვალიფიკაციო შემოწმება (Profficiency check) – ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, უნარების წარმოჩენა, ზეპირი გამოცდის ჩათვლით, თუ არსებობს ამის საჭიროება;

ყ) სასწავლო დაწესებულება – სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული ან აღიარებული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სხ-ის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სწავლებას;

შ) საფრენოსნო წვრთნა – ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის საფრენოსნო საქმის (სამუშაოს) უნარ-ჩვევების შესაძენად ან აღსადგენად ჩატარებული სწავლების პროცესი;

ჩ) საფრენოსნო საქმე (Airmanship) – ფრენის მიზნების განსახორციელებლად სწორი განსჯისა და გააზრებული თეორიული ცოდნის, საფრენოსნო უნარების და დამოკიდებულებების თანმიმდევრული გამოყენება;

ც) სხ-ის კლასი – საჰაერო ხომალდის გარკვეულ კატეგორიას მიკუთვნებული ზსხ, რომელიც არ საჭიროებს ცალკეული ტიპის ოსტატობას;

ძ) სხ-ის ტიპი – საჰაერო ხომალდის გარკვეულ კატეგორიას მიკუთვნებული ზსხ, რომლის ექსპლუატაცია საჭიროებს ტიპის ოსტატობას და მოიცავს ერთნაირი დიზაინის (კონსტრუქციის) მქონე ყველა საჰაერო ხომალდს, მათი ყველა მოდიფიკაციის ჩათვლით, გარდა იმ მოდიფიკაციებისა, რომელიც იწვევს მართვის ან საფრენოსნო მახასიათებლების ცვლილებას;

შენიშვნა: სხ-ის ტიპის ოსტატობის მისაღებად სწავლების საჭიროებას განსაზღვრავს სხ-ის ტიპის სერტიფიკატის მფლობელი ორგანიზაცია ან/და ტიპის სერტიფიკატის გამცემი უფლებამოსილი ორგანო.

წ) უნარების შემოწმება (Skill test) – მოწმობის ან ოსტატობის მიღების მიზნით, უნარების წარმოჩენა, ზეპირი გამოცდის ჩათვლით, თუ არსებობს ამის საჭიროება;

ჭ) ფრენის ინსტრუქტორი – შესაბამისი მოწმობის და/ან ოსტატობის მფლობელი პირი, რომელიც უფლებამოსილია, ოსტატობის შესაბამისად განახორციელოს საინსტრუქტორო საქმიანობა;

ხ) ფრენის ინსტრუქტორთან ერთად ნაფრენი – ფრენის დრო, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი ოსტატობის მქონე ფრენის ინსტრუქტორი ახორციელებს პირის საფრენოსნო წვრთნას;

ჯ) ფრენის შემმოწმებელი – შესაბამისი მოწმობის და/ან ოსტატობის მფლობელი პირი, რომელიც უფლებამოსილია, ოსტატობის შესაბამისად განახორციელოს უნარების შემოწმება, საკვალიფიკაციო შემოწმება და კომპეტენციის შეფასება;

ჰ) შვეულმფრენი (მოძრავფრთიანი ზსხ) – ჰაერზე უფრო მძიმე საჰაერო ხომალდი, რომელიც ჰაერში მდებარეობას ძალური დანადგარის მეშვეობით მბრუნავი, დაახლოებით ვერტიკალურ ღერძზე მდებარე, ერთი ან რამდენიმე მზიდი ხრახნით წარმოქმნილი ნაკადის რეაქციის საშუალებით ინარჩუნებს;

ჰ[1]) ცოდნის განახლების სწავლება (Refresher training) – ოსტატობის მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, შესაბამისი კლასის/ტიპის ზსხ-ის უსაფრთხოდ, ექსპლუატაციისთვის საჭირო კომპეტენციის მისაღწევად გავლილი სპეციალური სწავლება;

ჰ[2]) ცოდნის განახლების სემინარი – სასწავლო სემინარი, რომელიც მოიცავს შესაბამის სწავლებებს ფრენის ინსტრუქტორის და ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მოქმედების ვადის განახლების მიზნით.

2. წესში გამოყენებულ შემოკლებებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

ა) **ზსხ** – ზემსუბუქი საჰაერო ხომალდი;

ბ) **კგ** – კილოგრამი;

გ) **სდ** – სასწავლო დაწესებულება;

დ) **სთ** – საათი;

ე) **სხ** – საჰაერო ხომალდი;

ვ) **A** – თვითმფრინავი;

ზ) **AS** – ჰაერიდან შეწამვლის ოსტატობა;

თ) **AT** – ბუქსირების ოსტატობა;

ი) **CAS** – შესწორებული საჰაერო სიჩქარე;

კ) **G** – ავტოჟირი;

ლ) **FE** – ფრენის შემმოწმებელი;

მ) **FI** – ფრენის ინსტრუქტორი;

ნ) **SFE** – უფროსი ფრენის შემმოწმებელი;

ო) **H** – შვეულმფრენი;

პ) **ICAO** – სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ჟ) **NM** – საზღვაო მილი;

რ) **NPL** – პილოტის ეროვნული მოწმობა;

ს) **PD** – პარაშუტისტის ჩამოგდების ოსტატობა;

ტ) **PIC** – საჰაერო ხომალდის მეთაური;

უ) **SFI** – უფროსი ფრენის ინსტრუქტორი;

ფ) **ULA** – ზემსუბუქი საჰაერო ხომალდი;

ქ) **WSC** – მოტოდელტაპლანი.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 3. მოწმობის მფლობელის ზოგადი ვალდებულებები
პირი, რომელიც ახორციელებს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის საფრენოსნო ექსპლუატაციას, ვალდებულია:
ა) დაიცვას წინამდებარე წესით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ) ფლობდეს შესაბამის სამედიცინო სერტიფიკატს;

გ) გააჩნდეს ამ წესის შესაბამისად გაცემული ზსხ-ის საფრენოსნო ექსპლუატაციის განხორციელების ან ინსტრუქტაჟის ჩატარების უფლების დამადასტურებელი შესაბამისი მოქმედი მოწმობა;

დ) დამოუკიდებლად განხორციელებულ ყველა ფრენაზე ფლობდეს პილოტ-კურსანტის მოწმობას, თუ პირი გადის შესაბამის თეორიულ და საფრენოსნო მომზადებას სასწავლო დაწესებულებაში;

ე) პირადად აწარმოოს საფრენოსნო დროის აღრიცხვა პილოტის საფრენოსნო წიგნაკში, სადაც მითითებული უნდა იყოს, სულ მცირე, ზსხ-ის სარეგისტრაციო ნიშანი, ფრენის სახეობა (სასწავლო, შემოწმება და სხვა), ფრენის თარიღი, გაფრენისა და მოფრენის დრო,
აეროდრომი/ ადგილი.

თავი II
მოწმობის გაცემა, ვადის გაგრძელება, შეჩერება, გაუქმება, აღიარება და ჩანაცვლება, დუბლიკატის გაცემა

მუხლი 4. სააგენტოს კომპეტენცია
1. ამ წესით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).
2. სააგენტო, ამ წესის შესაბამისად, ახორციელებს მოწმობის გაცემას, მოწმობაში ოსტატობის მინიჭებას, მოქმედების ვადის გაგრძელებას და განახლებას, მოწმობის/ოსტატობის მოქმედების ვადის შეჩერებას და აღდგენას, გაუქმებას, ასევე, უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების ან შესაბამისი უწყების მიერ გაცემული მოწმობის აღიარებას ან მის საფუძველზე პილოტის ეროვნული მოწმობის გაცემას.

3. მოწმობის გაცემა, მოწმობაში ოსტატობის მინიჭება (გარდა მოწმობის აღიარებისა), შესაბამისი ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელება და განახლება, ასევე, უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების ან შესაბამისი უწყების მიერ გაცემული მოწმობის აღიარება ან მის საფუძველზე პილოტის ეროვნული მოწმობის გაცემა ხორციელდება განმცხადებლის მიერ სააგენტოსათვის განცხადებისა და ამ წესით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებში.

4. მოწმობა გაიცემა ამ წესის №17 დანართით დადგენილი ფორმების შესაბამისად.

5. ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის მოწმობების, ოსტატობების და სხვა შესაბამისი მონაცემების აღრიცხვას და მონაცემთა ბაზას სააგენტო აწარმოებს ელექტრონული ფორმით.

6. თუ მოწმობა გაცემულია უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების ან შესაბამისი უწყების მიერ, სააგენტო, საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში, აღნიშნული მოწმობის

საფუძველზე განახორციელებს პილოტის ეროვნული მოწმობის გაცემას ან უცხო სახელმწიფოს მოქალაქის შემთხვევაში – განსაზღვრული ვადით გასცემს აღიარების მოწმობას.

7. სააგენტო უარს ამბობს უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობის აღიარებაზე და მის საფუძველზე პილოტის ეროვნული მოწმობის გაცემაზე, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოწმობის აღიარების ადმინისტრაციული წარმოების ვადაში უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების ან შესაბამისი უწყების მიერ არ დადასტურდება ამ წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის პირობა;

ბ) წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტის გამცემი სახელმწიფო არ არის ICAO-ის წევრი;

გ) განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებს ამ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

8. მოწმობის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, პირი უფლებამოსილია, მიმართოს სააგენტოს მოწმობის დუბლიკატის გაცემის მოთხოვნით და წარუდგინოს დოკუმენტაცია ამ წესის №12 დანართის შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 5. მოწმობის გაცემა და ოსტატობის მინიჭება

1. მოწმობის გაცემის, მოწმობაში ოსტატობის მინიჭების მიზნით, პირმა სააგენტოს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) მოწმობის გასაცემად – ამ წესის №1 დანართის შესაბამისად;

ბ) ზსხ-ის განსხვავებულ კატეგორიაზე ოსტატობის მისანიჭებლად – ამ წესის №9 დანართის შესაბამისად;

გ) ზსხ-ის წყლის კლასის ოსტატობის მისანიჭებლად – ამ წესის №10 დანართის შესაბამისად;

დ) ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მისანიჭებლად – ამ წესის №2 დანართის შესაბამისად;

ე) ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მისანიჭებლად – ამ წესის №3 დანართის შესაბამისად;

ვ) უფროსი ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მისანიჭებლად – ამ წესის №4 დანართის შესაბამისად;

ზ) უფროსი ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მისანიჭებლად – ამ წესის №5 დანართის შესაბამისად;

თ) დამატებითი ოსტატობის მისანიჭებლად – ამ წესის №11 დანართის შესაბამისად;

ი) სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ შესაბამისად გაცემული პილოტის მოწმობის (მოყვარული პილოტის მოწმობა, კომერციული პილოტის მოწმობა და ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობა) ან სახელმწიფო ავიაციის პილოტის შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, პილოტის მოწმობის გასაცემად – ამ წესის №7 და №8 დანართების შესაბამისად.

2. მოწმობა გაიცემა პირზე, რომელსაც შეუსრულდა 17 წელი, ხოლო ინსტრუქტორის და შემმოწმებლის ოსტატობა ენიჭება პირს, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი.

3. თვითმფრინავის ან შვეულმფრენის მოყვარული პილოტის, კომერციული პილოტის ან ავიაკომპანიის სატრანსპორტო პილოტის მოწმობის ან სახელმწიფო ავიაციის პილოტის შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, პილოტის მოწმობის გაცემა ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) პილოტის არსებული მოწმობის/დოკუმენტის საფუძველზე მისაღები პილოტის მოწმობა, ზსხ-ის კატეგორიების შესაბამისად, განისაზღვრება ამ წესის №18 დანართით;

ბ) თვითმფრინავის/შვეულმფრენის მოქმედი კლასის/ტიპის ოსტატობის მფლობელ პილოტს, თვითმფრინავის/შვეულმფრენის კატეგორიის ოსტატობით პილოტის მოწმობის მისაღებად:

ბ.ა) ზსხ-ის კატეგორიის შესაბამისად, გავლილი უნდა ჰქონდეს გაცნობითი ან სხვაობათა სწავლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოქმედი მოწმობის ფარგლებში გავლილი აქვს აღნიშნული სწავლება და ნაფრენი აქვს შესაბამის ზსხ-ზე;

ბ.ბ) ინსტრუქტორთან ერთად ზსხ-ზე ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სთ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მოქმედი მოწმობის ფარგლებში ნაფრენი აქვს აღნიშნულ ზსხ-ზე;

ბ.გ) ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება.

გ) სახელმწიფო ავიაციის თვითმფრინავის/შვეულმფრენის პილოტს, შესაბამისი კატეგორიის ოსტატობით (არსებული დოკუმენტის გათვალისწინებით) პილოტის მოწმობის მისაღებად:

გ.ა) თეორიული ცოდნის საგნებში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდები;

გ.ბ) ზსხ-ის კატეგორიის შესაბამისად, გავლილი უნდა ჰქონდეს სხვაობათა სწავლება;

გ.გ) ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება.

4. სახელმწიფო ავიაციის პილოტ-კურსანტს, რომელსაც არ აქვს დასრულებული საფრენოსნო მომზადება, მოწმობის მისაღებად სააგენტოში წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე, ზსხ-ის კატეგორიის შესაბამისად, შესაძლოა, ჩაეთვალოს დაგროვილი საფრენოსნო გამოცდილების გარკვეული საათები. ამ შემთხვევაში, პილოტის მოწმობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი განისაზღვრება ინდივიდუალურად, პირის გავლილი სწავლებისა და საფრენოსნო გამოცდილების გათვალისწინებით.

5. უცხო სახელმწიფოს მოქალაქეზე მოწმობა გაიცემა სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული სასწავლო დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტაციის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა №IV–100/ა) საფუძველზე.

6. საქართველოს მოქალაქეზე მოწმობა გაიცემა სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული სდ-ის პროგრამის შესაბამისად გაცემული დოკუმენტაციის და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა №IV–100/ა) საფუძველზე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 6. მოწმობის აღიარება ან უცხო სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობის საფუძველზე მოწმობის გაცემა

1. უცხო სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლების ან შესაბამისი უწყების მიერ გაცემული მოწმობის აღიარება ან მის საფუძველზე მოწმობის გაცემა სააგენტოს მიერ ხორციელდება, შემდეგ შემთხვევაში:
ა) პირის მოთხოვნის საფუძველზე;

ბ) მოწმობის გამცემი სახელმწიფოს უფლებამოსილი საავიაციო ხელისუფლება ან შესაბამისი უწყება ადმინისტრაციული წარმოების ვადაში დაადასტურებს წარმოდგენილი მოქმედი მოწმობის და მასში არსებული მონაცემების ნამდვილობას; და

გ) პირი ფლობს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, ამ წესის 13^3 მუხლის შესაბამისად.

2. უცხო სახელმწიფოს მოქალაქის შემთხვევაში, მოწმობის აღიარება ხორციელდება 12 თვის ვადით.

3. მოწმობის აღიარების ან მის საფუძველზე პილოტის ეროვნული მოწმობის გაცემის მიზნით, სააგენტოს განაცხადი წარედგინება ამ წესის №6 დანართის შესაბამისად.

მუხლი 7. მოწმობის მოქმედების ვადა, ოსტატობის ვადის გაგრძელება და განახლება

1. პილოტის მოწმობა გაიცემა უვადოდ. მოწმობაში მინიჭებული ოსტატობის მოქმედების ვადებია:

ა) თვითმფრინავის, ავტოჟირის და მოტოდელტაპლანის კლასის ოსტატობა მოქმედია 24 თვის განმავლობაში;

ბ) შვეულმფრენის ტიპის ოსტატობა მოქმედია 12 თვის განმავლობაში.

გ) ავტოჟირის და მოტოდელტაპლანის ფრენის ინსტრუქტორის და ფრენის შემმოწმებლის ოსტატობა მოქმედია 36 თვის განმავლობაში.

დ) დამატებითი ოსტატობა თვითმფრინავზე, ავტოჟირზე და მოტოდელტაპლანზე მოქმედია 24 თვის განმავლობაში, ხოლო შვეულმფრენზე – 12 თვის განმავლობაში;

2. თვითმფრინავის შესაბამისი კლასის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პირს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება; ან

ბ) შესაბამისი ოსტატობის მოქმედების ვადის გასვლამდე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს:

ბ.ა) ჯამში არანაკლებ 12 საათი ფრენა, მათ შორის 6 საათი – ზსხ-ის მეთაურის რანგში;

ბ.ბ) 12 აფრენა და დაფრენა; და

ბ.გ) ფრენის ინსტრუქტორთან ერთად არანაკლებ 1-საათიანი ფრენა ცოდნის განახლების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ პირს ნებისმიერი სხვა კლასის თვითმფრინავზე ჩაბარებული აქვს უნარების საკვალიფიკაციო შემოწმება ან კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: ფრენის შესახებ ჩანაწერი აღინიშნება პილოტის საფრენოსნო წიგნაკში, რომელსაც ხელს აწერს ფრენის ინსტრუქტორი.

გ) იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს თვითმფრინავის ხმელეთის (LAND) და წყლის (SEA) კლასის ოსტატობებს, აღნიშნული ოსტატობების მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლოა განხორციელდეს ერთდროულად და შემდეგი პირობით:

გ.ა) ოსტატობის მოქმედების ვადის ამოწურვამდე უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში პირს თითოეული კლასისთვის:

გ.ა.ა) ზსხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 საათი;

გ.ა.ბ) შესრულებული უნდა ჰქონდეს 6 აფრენა და დაფრენა.

3. თვითმფრინავის კლასის ოსტატობის განახლება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პირს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება;

ბ) საკვალიფიკაციო შემოწმების განხორციელებამდე სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს ცოდნის განახლება, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული საჭიროა შესაბამისი კლასის თვითმფრინავის უსაფრთხო ექსპლუატაციის განსახორციელებლად საჭირო კვალიფიკაციის მისაღწევად.

4. შვეულმფრენის ტიპის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პირს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება;

ბ) ოსტატობის მოქმედების ვადის განმავლობაში, შვეულმფრენის შესაბამის ტიპზე მეთაურის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 2 საათი;

შენიშვნა: ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკვალიფიკაციო შემოწმებისას ნაფრენი დრო, საჭიროებისას, ჩაითვლება აღნიშნული 2-საათიანი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

გ) თუ პირი ფლობს ერთზე მეტი ტიპის ოსტატობას, ერთი რომელიმე ტიპისთვის საკვალიფიკაციო შემოწმების ჩაბარების საფუძველზე, მოთხოვნის შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია სხვა დანარჩენი შესაბამისი ტიპის ოსტატობების მოქმედების ვადა გააგრძელოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირს ოსტატობის მოქმედების ვადის განმავლობაში მეთაურის რანგში ნაფრენი აქვს თითოეული ტიპის ოსტატობისათვის არანაკლებ 2 საათი;

დ) ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობით, ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელება ყოველ მომდევნო ჯერზე უნდა განხორციელდეს წინასგან განსხვავებულ ტიპზე საკვალიფიკაციო შემოწმების ჩაბარებით.

5. შვეულმფრენის ტიპის ოსტატობის განახლება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პირს, ოსტატობის ვადის განახლების შესახებ სააგენტოში განაცხადის წარმოდგენამდე არაუმეტეს 90 დღის პერიოდში ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება;

ბ) საკვალიფიკაციო შემოწმების ჩატარებამდე სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს ცოდნის განახლების სწავლება, რომლის დასრულების შემდეგ პირი დაიშვება საკვალიფიკაციო შემოწმებაზე.

6. ავტოჟირის კლასის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პირს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება; ან

ბ) ოსტატობის მოქმედების ვადის განმავლობაში პირს შესრულებული უნდა ჰქონდეს:

ბ.ა) ჯამში არანაკლებ 12 სთ ფრენა, საიდანაც 6 სთ – ზსხ-ის მეთაურის რანგში;

ბ.ბ) 12 აფრენა და დაფრენა;

ბ.გ) სდ-ის ინსტრუქტორთან ერთად არანაკლებ 1-საათიანი ფრენა ცოდნის განახლების მიზნით.

შენიშვნა: ფრენის შესახებ ჩანაწერი აღინიშნება პილოტის საფრენოსნო წიგნაკში, რომელსაც ხელს აწერს ფრენის ინსტრუქტორი.

7. ავტოჟირის კლასის ოსტატობის მოქმედების ვადის განახლება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) იმ შემთხვევაში, თუ კლასის ოსტატობის ვადის ამოწურვიდან გასულია არაუმეტეს 24 თვე, მაშინ პირმა ფრენის შემმოწმებელთან უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო შემოწმება;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ კლასის ოსტატობის ვადის ამოწურვიდან გასული პერიოდი აღემატება 24 თვეს, მაშინ პირს:

ბ.ა) სდ-ის ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნის განახლება;

ბ.ბ) სდ-ის ფრენის ინსტრუქტორთან უნარების განახლების მიზნით ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სთ;

ბ.გ) სდ-ის ფრენის ინსტრუქტორთან ერთად ან ინსტრუქტორის გადაწყვეტილებით, დამოუკიდებლად განხორციელებული უნდა ჰქონდეს მარშრუტზე ფრენა;

ბ.დ) ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება.

8. მოტოდელტაპლანის შესაბამისი კლასის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პირს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება; ან

ბ) პირს, ოსტატობის მოქმედების ვადის პერიოდში:

ბ.ა) ნაფრენი უნდა ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 12 სთ, საიდანაც არანაკლებ 8 სთ – ზსხ-ის მეთაურის რანგში და არანაკლებ 6 სთ ოსტატობის მოქმედების ვადის უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში;

ბ.ბ) შესრულებული უნდა ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 12 აფრენა და დაფრენა;

ბ.გ) ფრენის ინსტრუქტორთან ერთად შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სთ ფრენა ცოდნის განახლების მიზნით.

შენიშვნა 1: აღნიშნული 1 სთ ფრენა არ გულისხმობს, რომ ფრენა უნდა იყოს ერთჯერადი და გაგრძელდეს არანაკლებ 1 საათს. ფრენა შესაძლოა განხორციელდეს დროის სხვადასხვა მოცულობით, იმავე კლასის მოტოდელტაპლანზე და სხვა ფრენის ინსტრუქტორის თანხლებით;

შენიშვნა 2: ფრენის შესახებ ჩანაწერი აღინიშნება პილოტის საფრენოსნო წიგნაკში, რომელსაც ხელს აწერს ფრენის ინსტრუქტორი.

გ) იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს მოტოდელტაპლანის ხმელეთის (LAND) და წყლის (SEA) კლასის ოსტატობებს, ამ მუხლის მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფრენოსნო გამოცდილება, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს თითოეული კლასის ოსტატობის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, შემდეგი პირობების დაცვით:

გ.ა) პირს, ოსტატობის მოქმედების ვადის პერიოდში შესრულებული 12 სთ ფრენის ფარგლებში, თითოეულ კლასზე:

გ.ა.ა) ზსხ-ის მეთაურის რანგში შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სთ ფრენა; ან

გ.ა.ბ) ფრენის ინსტრუქტორთან ერთად შესრულებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 სთ ფრენა ცოდნის განახლების მიზნით;

9. მოტოდელტაპლანის შესაბამისი კლასის ოსტატობის მოქმედების ვადის განახლება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) იმ შემთხვევაში, თუ ოსტატობის მოქმედების ვადის ამოწურვიდან გასული პერიოდი არ აღემატება 5 წელს:

ა.ა) პირმა ფრენის შემმოწმებელთან უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო შემოწმება;

შენიშვნა: საკვალიფიკაციო შემოწმების ფარგლებში, ასევე, ხორციელდება თეორიული ცოდნის ზეპირი გამოცდა.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ოსტატობის მოქმედების ვადის ამოწურვიდან გასული პერიოდი აღემატება 5 წელს:

ბ.ა) პირმა სდ-ში ფრენის ინსტრუქტორის მიერ განსაზღვრული მოცულობით უნდა გაიაროს ცოდნის განახლების სწავლება;

ბ.ბ) პირმა ფრენის შემმოწმებელთან უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო შემოწმება.

10. დამატებითი ოსტატობის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, პირს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება.

11. დამატებითი ოსტატობის მოქმედების ვადის განახლება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პირს, საკვალიფიკაციო შემოწმების განხორციელებამდე, ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს ცოდნის განახლების სწავლება;

ბ) პირს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საკვალიფიკაციო შემოწმება.

12. ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად პირს ოსტატობის მოქმედების ვადის უკანასკნელი 12 თვის პერიოდში უფროს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება.

13. ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მოქმედების ვადის განახლება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) პირს უფროს ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს ფრენის ინსტრუქტორის ცოდნის განახლების სემინარი;

ბ) უფროს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: ცოდნის განახლების სემინარისა და კომპეტენციის შეფასების შინაარსი ავტოჟირის კატეგორიის ოსტატობისთვის განისაზღვრება ამ წესის №27 დანართით.

14. ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, პირს, ოსტატობის მოქმედების ვადის უკანასკნელი 12 თვის პერიოდში, უფროს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: კომპეტენციის შეფასების განმავლობაში ხორციელდება სტუდენტის/პილოტის იმიტირებული უნარების საკვალიფიკაციო შემოწმება.

15. ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მოქმედების ვადის განახლება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ავტოჟირის ოსტატობისთვის:

ა.ა) პირს უფროს ფრენის შემმოწმებელთან გავლილი უნდა ჰქონდეს შემმოწმებლის თეორიული ცოდნის განახლების სემინარი;

ა.ბ) პირს უფროს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: თეორიული ცოდნის განახლების სემინარისა და კომპეტენციის შეფასების შინაარსი განისაზღვრება ამ წესის №31 დანართით.

ბ) მოტოდელტაპლანის ოსტატობისთვის – პირს უფროს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული აქვს კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: კომპეტენციის შეფასების შინაარსი განისაზღვრება ამ წესის №30 დანართით.

16. უფროსი ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, პირს, ოსტატობის მოქმედების ვადის უკანასკნელი 12 თვის პერიოდში, უფროს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: კომპეტენციის შეფასების შინაარსი ავტოჟირის კატეგორიისათვის განისაზღვრება ამ წესის №28 დანართით.

17. უფროსი ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მოქმედების ვადის განახლებისთვის, პირმა, უფროს ფრენის შემმოწმებელთან უნდა გაიაროს ცოდნის განახლების სემინარი და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს

კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: ცოდნის განახლების სემინარისა და კომპეტენციის შეფასების საკითხები ავტოჟირის კატეგორიისათვის განისაზღვრება ამ წესის №29 დანართით.

18. უფროსი ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მოქმედების ვადის გასაგრძელებლად, პირს, ოსტატობის მოქმედების ვადის უკანასკნელი 12 თვის პერიოდში, უფროს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ფრენის ინსტრუქტორის იმიტირებული კომპეტენციის შეფასება.

19. უფროსი ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მოქმედების ვადის განახლებისთვის, პირმა, უფროს ფრენის შემმოწმებელთან უნდა გაიაროს ცოდნის განახლების სემინარი და ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ფრენის ინსტრუქტორის იმიტირებული კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: ცოდნის განახლების სემინარის შინაარსი განისაზღვრება ამ წესის №32 დანართით.

20. ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების მიზნით, საკვალიფიკაციო შემოწმება უნდა განხორციელდეს ოსტატობის მოქმედების ვადის უკანასკნელი 90 დღის პერიოდში.

21. იმ შემთხვევაში, თუ პირი ოსტატობის მოქმედების ვადის განმავლობაში ვერ ჩააბარებს შესაბამის შემოწმებას ან შეფასებას, იგი ვერ ისარგებლებს შესაბამისი ოსტატობით მინიჭებული უფლებით აღნიშნული შემოწმების ან შეფასების ჩაბარებამდე.

22. პირმა, კლასის/ტიპის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, სააგენტოში უნდა წარმოადგინოს ამ წესის №13 დანართით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

23. პირმა, დამატებითი ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, სააგენტოში უნდა წარმოადგინოს ამ წესის №14 დანართით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

24. პირმა, ინსტრუქტორის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, სააგენტოში უნდა წარმოადგინოს ამ წესის №15 დანართით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

25. პირმა, შემმოწმებლის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, სააგენტოში უნდა წარმოადგინოს ამ წესის №16 დანართით განსაზღვრული დოკუმენტაცია.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 8. მოწმობით მინიჭებული უფლება

1. პირი უფლებამოსილია, განახორციელოს ზსხ-ის საფრენოსნო ექსპლუატაცია, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ფლობს პილოტის მოწმობას შესაბამისი მოქმედი ოსტატობით ან ოსტატობის მოქმედების ვადის განახლების მიზნით, ახორციელებს საკვალიფიკაციო შემოწმებას/კომპეტენციის შეფასებას;

ბ) აკმაყოფილებს ამ წესის 13^2 მუხლის პირობებს; და

გ) ფლობს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ მოქმედ დოკუმენტს ამ წესის 13^3 მუხლის შესაბამისად.

2. პილოტ-კურსანტი უფლებამოსილია, განახორციელოს ზსხ-ის საფრენოსნო ექსპლუატაცია იმ შემთხვევაში, თუ სდ-ში გადის საფრენოსნო წვრთნას ან უნარების შემოწმებას.

3. პილოტი უფლებამოსილია, განახორციელოს ფრენა საზღაურის მიღების მიზნით, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ასაკი – არანაკლებ 18 წელი;

ბ) მოწმობის გაცემის შემდეგ შესაბამისი კლასის ან ტიპის ზსხ-ის მეთაურის რანგში აქვს ნაფრენი ჯამში არანაკლებ 50 სთ და შესრულებული აქვს ჯამში არანაკლებ 100 აფრენა და დაფრენა; და

გ) დასაქმებულია ზსხ-ის ექსპლუატანტთან, რომელიც ფლობს სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 17 ივლისის №142 ბრძანებით დამტკიცებული „ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების და საფრენოსნო ექსპლუატაციის წესის“ შესაბამისად გაცემულ ექსპლუატანტის სერტიფიკატს.

4. დაუშვებელია ზსხ-ით ფრენა მგზავრთან ერთად, თუ პილოტს უკანასკნელი 90 დღის განმავლობაში შესაბამისი კლასის ან ტიპის ზსხ-ის მეთაურის რანგში არ შეუსრულებია არანაკლებ 3 აფრენა და დაფრენა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 9. თეორიული გამოცდა, უნარების შემოწმება და კომპეტენციის შეფასება

1. პილოტის მოწმობის გაცემის მიზნით, თეორიული სწავლება შედგება თეორიული ცოდნის საგნებში მომზადებისა და შეფასებისაგან ნაწილებისგან, რომელიც ხორციელდება სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ სდ-ში, შემდეგი პირობით:

ა) თეორიული ცოდნის საგანში მომზადების ნაწილის დასრულების შემდეგ, სტუდენტი დაიშვება შეფასების ნაწილზე;

ბ) თეორიული ცოდნის საგანში გამოცდა (შეფასება) ტარდება ტესტირების მეთოდით ქართულ ან ინგლისურ ენაზე. გამოცდა ჩაბარებულად მიიჩნევა, თუ პირი სწორად უპასუხებს კითხვების 75%-ს;

გ) პირს, რომელიც ვერ ჩააბარებს გამოცდას თეორიული ცოდნის რომელიმე საგანში, აღნიშნულ საგანში უტარდება განმეორებითი გამოცდა. პირი, რომელიც რომელიმე საგანში სამჯერ მიმდევრობით ვერ ჩააბარებს თეორიულ გამოცდას, გამოცდაზე დაიშვება მას შემდეგ, როდესაც აღნიშნულ საგანში გაივლის დამატებით სწავლებას შესაბამისი მოცულობით.

2. პილოტის თეორიული სწავლებისა და საფრენოსნო წვრთნის დასრულების შემდეგ, პილოტ-კურსანტი დაიშვება უნარების შემოწმებაზე.

3. უნარების შემოწმება ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) უნარების შემოწმება იყოფა სექციებად, რომელიც მოიცავს ფრენის ყველა განსხვავებულ ეტაპს, ზსხ-ის კატეგორიის შესაბამისად;

ბ) თუ პირი ვერ ჩააბარებს:

ბ.ა) სექციის რომელიმე ერთ ელემენტს, მიიჩნევა, რომ მან ვერ ჩააბარა აღნიშნული სექცია;

ბ.ბ) მხოლოდ ერთ სექციას, მან განმეორებით უნდა ჩააბაროს აღნიშნული სექცია;

ბ.გ) ერთზე მეტ სექციას, მიიჩნევა, რომ მან ვერ ჩააბარა უნარების შემოწმება.

გ) პირი, რომელიც მიმდევრობით, ორი ცდის შედეგად ვერ ჩააბარებს უნარების შემოწმებას, უნდა გაიაროს დამატებითი საფრენოსნო წვრთნა, ხოლო შემდეგ, უნარების შემოწმებაზე დაიშვება ფრენის ინსტრუქტორის გადაწყვეტილებით.

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, თუ საკვალიფიკაციო შემოწმება ხორციელდება პილოტის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, შემოწმება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტის პირობების შესაბამისად.

4. პირმა უნარების შემოწმების ჩაბარებით უნდა წარმოაჩინოს, რომ მას, როგორც ზსხ-ის მეთაურს, აქვს უნარი შეასრულოს შესაბამისი კატეგორიის ზსხ-ის მართვასთან დაკავშირებული საფრენოსნო პროცედურები და მანევრები მისანიჭებელი ოსტატობის შესაბამისი კომპეტენციით.

5. უნარების შემოწმება ხორციელდება იმ კატეგორიის კლასის ან ტიპის ზსხ-ზე, რომელზეც პირს გავლილი აქვს საფრენოსნო წვრთნა.

6. უნარების შემოწმების შედეგად მინიჭებული ოსტატობა ვრცელდება მხოლოდ იმ კლასის სახეობის ან ტიპის ზსხ-ზე, რომელზეც განხორციელდა შემოწმება, ვიდრე არ განხორციელდება დამატებითი ოსტატობის მინიჭება/აღნიშვნა, ამ წესის მოთხოვნების შესაბამისად.

7. უნარების შემოწმება უნდა განხორციელდეს საფრენოსნო წვრთნის დასრულებიდან არაუგვიანეს 6 თვის პერიოდში.

8. უნარების შემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები, ზსხ-ის კატეგორიის შესაბამისად, განსაზღვრულია ამ წესის №33–№36 დანართების შესაბამისად.

9. ფრენის ინსტრუქტორის თეორიული და საფრენოსნო მომზადების დასრულების შემდეგ, ხორციელდება კომპეტენციის შეფასება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) კანდიდატმა უფროს ფრენის შემმოწმებელთან კომპეტენციის შეფასების ჩაბარებით უნდა წარმოაჩინოს, რომ ფლობს პილოტ-კურსანტის/პილოტის შესაბამის დონეზე მოსამზადებლად საჭირო უნარ-ჩვევებს მისანიჭებელი ოსტატობის შესაბამისი კომპეტენციით;

ბ) კომპეტენციის შეფასება მოიცავს:

ბ.ა) შესაბამისი კომპეტენციის წარმოჩენას ამ წესის №26 დანართის შესაბამისად განსაზღვრულ საკითხებში, გაფრენის წინ, ფრენის განმავლობაში და ფრენის შემდეგ, ასევე, თეორიული ცოდნის საგნების სწავლებისას;

ბ.ბ) ზეპირ თეორიულ გამოცდებს ხმელეთზე, გაფრენისწინა და გაფრენის შემდგომ ინსტრუქტაჟს, ასევე, შესაბამისი კატეგორიის ზსხ-ის კლასზე დემონსტრირებებს (ჩვენებებს) ფრენის განმავლობაში;

ბ.გ) შესაბამის სავარჯიშოებს, ფრენის ინსტრუქტორის კომპეტენციის შესაფასებლად;

გ) კომპეტენციის შეფასება უნდა განხორციელდეს შესაბამისი კატეგორიის ზსხ-ის კლასზე, რომელიც გამოიყენება ფრენის ინსტრუქტორის საფრენოსნო წვრთნისათვის.

10. იმ შემთხვევაში, თუ კომპეტენციის შეფასება ხორციელდება ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით, შემოწმება უნდა განხორციელდეს ამ მუხლის მე-9 პუნქტის „ბ–გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 10. მოწმობის მოქმედების ვადის შეჩერება, აღდგენა და გაუქმება

1. სააგენტო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მოწმობის გაუქმებასთან და შეჩერებასთან ან ოსტატობის მოქმედების ვადის შეჩერებასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ინსპექტირებისას გამოვლენილი ნაკლოვანების გამოსასწორებლად, მოწმობის მფლობელ პირს განესაზღვრა გონივრული ვადა და ამ ვადაში არ გამოასწორა შეჩერების საფუძველი;

ბ) მოითხოვს მოწმობის მფლობელი პირი;

გ) პირი ვეღარ აკმაყოფილებს ამ წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2. მოწმობის გაუქმების შემთხვევაში, პირმა, გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში მოწმობა უნდა დაუბრუნოს სააგენტოს.

3. მოწმობის ან ოსტატობის მოქმედების ვადა შეჩერდება იმ დრომდე, ვიდრე არ გამოსწორდება შეჩერების საფუძველი, გარდა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული გარემოებისა, მაგრამ შეჩერებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებიდან არაუმეტეს – 90 დღით.

4. იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული გარემოების გამო მოწმობის მფლობელი პირი ვერ აკმაყოფილებს ამ წესის 13[2] მუხლის პირობებს, სააგენტო უფლებამოსილია, პირს შეუჩეროს მოწმობის მოქმედება განსაზღვრული ვადით, მაგრამ შეჩერების

ვადა არ უნდა აღემატებოდეს მოწმობაში არსებული ოსტატობის მოქმედების ვადას.

5. მოწმობის ან ოსტატობის მოქმედება აღდგება იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-3 ან მე-4 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული ვადის გასვლამდე გამოსწორდება შეჩერების საფუძველი.

6. მოწმობის ან ოსტატობის მოქმედების ვადის შეჩერებასთან, აღდგენასთან და მოწმობის გაუქმებასთან დაკავშირებით სააგენტოს გადაწყვეტილება ეგზავნება პირს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

თავი III
პილოტის მოწმობა, ოსტატობა, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა, სასწავლო პროგრამები

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 11. პილოტ-კურსანტი

1. პილოტ-კურსანტის მოწმობას გასცემს სდ, რომელიც სტუდენტს გადაეცემა პირველი დამოუკიდებელი ფრენის განხორციელებამდე.
2. პილოტ-კურსანტის მოწმობის მისაღებად, პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ასაკი – არანაკლებ 16 წელი;

ბ) უნდა წარმოადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV–100/ა).

3. პილოტ-კურსანტი დამოუკიდებელ ფრენაზე დაიშვება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ფრენა უნდა განხორციელდეს დღისით, ვიზუალურ მეტეოროლოგიურ პირობებში, სდ-ის ფრენის ინსტრუქტორის ნებართვით და მისი ზედამხედველობით;

ბ) პილოტ-კურსანტს თეორიული ცოდნის საგნებიდან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს:

ბ.ა) საჰაერო სამართალი;

ბ.ბ) ნაოსნობა – იმ შემთხვევაში, თუ პილოტ-კურსანტმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი სანაოსნო ფრენა.

4. პილოტ-კურსანტს ეკრძალება საზღაურის სანაცვლოდ ფრენის შესრულება ან მასში მონაწილეობა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 12. პილოტის მოწმობის გაცემა

1. პილოტის მომზადების სასწავლო პროგრამის გასავლელად, პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
ა) ასაკი – არანაკლებ 16 წელი;

ბ) უნდა წარმოადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV–100/ა).

2. პილოტის მომზადება უნდა მოიცავდეს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებებს და ხანგრძლივობა, ბრიფინგების გამოკლებით, უნდა იყოს:

ა) თვითმფრინავი – არანაკლებ 130 სთ;

ბ) შვეულმფრენი და ავტოჟირი – არანაკლებ 140 სთ;

გ) მოტოდელტაპლანი – არანაკლებ 125 სთ.

3. პილოტის მოწმობის მისაღებად, პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) გავლილი უნდა ჰქონდეს თეორიული ცოდნის საგნების მომზადება;

ბ) თეორიული ცოდნის საგნებში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს გამოცდები;

გ) სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნა შესაბამისი კატეგორიის ორმაგსამართიან ზსხ-ზე შემდეგი მოცულობით:

გ.ა) თვითმფრინავი – ჯამში არანაკლებ 30 სთ ფრენა, საიდანაც არანაკლებ 15 სთ ფრენის ინსტრუქტორთან ერთად ნაფრენი და არანაკლებ 6 სთ სხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი, რომელიც მოიცავს, სულ მცირე, 3 სთ დამოუკიდებელ სანაოსნო ფრენას. დამოუკიდებელი სანაოსნო ფრენა მოიცავს, სულ მცირე, ერთ ფრენას არანაკლებ 150 კმ (80 NM) მანძილზე, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა გაფრენის აეროდრომიდან/საფრენი მოედნიდან განსხვავებულ აეროდრომზე/საფრენ მოედანზე დაფრენა სრული გაჩერებით;

გ.ბ) შვეულმფრენი – ჯამში არანაკლებ 40 სთ ფრენა, საიდანაც არანაკლებ 20 სთ ფრენის ინსტრუქტორთან ერთად ნაფრენი და არანაკლებ 10 სთ სხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი, რომელიც მოიცავს, სულ მცირე, 5 სთ დამოუკიდებელ სანაოსნო ფრენას. დამოუკიდებელი სანაოსნო ფრენა მოიცავს, სულ მცირე, ერთ ფრენას არანაკლებ 150 კმ (80 NM) მანძილზე, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა გაფრენის აეროდრომიდან/საფრენი მოედნიდან განსხვავებულ აეროდრომზე/საფრენ მოედანზე დაფრენა სრული გაჩერებით;

გ.გ) ავტოჟირი – ჯამში არანაკლებ 40 სთ ფრენა, საიდანაც არანაკლებ 15 სთ ფრენის ინსტრუქტორთან ერთად ნაფრენი და არანაკლებ 10 სთ სხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი, რომელიც მოიცავს, სულ მცირე, 3 სთ დამოუკიდებელ სანაოსნო ფრენას. დამოუკიდებელი სანაოსნო ფრენა მოიცავს, სულ მცირე, ორ ფრენას არანაკლებ 46,3 კმ (25 NM) მანძილზე, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა გაფრენის აეროდრომიდან/საფრენი მოედნიდან განსხვავებულ აეროდრომზე/საფრენ მოედანზე დაფრენა. თითოეული დამოუკიდებელი სანაოსნო ფრენა უნდა განხორციელდეს განსხვავებული მარშრუტით;

გ.დ) მოტოდელტაპლანი – ჯამში არანაკლებ 25 სთ ფრენა, საიდანაც არანაკლებ 12 სთ ფრენის ინსტრუქტორთან ერთად ნაფრენი და არანაკლებ 10 სთ სხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი, რომელიც მოიცავს, სულ მცირე, 3 სთ დამოუკიდებელ სანაოსნო ფრენას. დამოუკიდებელი სანაოსნო ფრენა მოიცავს, სულ მცირე, ორ ფრენას არანაკლებ 74 კმ (40 NM) მანძილზე, რომლის განმავლობაშიც განხორციელდა გაფრენის აეროდრომიდან/საფრენი მოედნიდან განსხვავებულ აეროდრომზე/საფრენ მოედანზე დაფრენა. დაფრენის აეროდრომი/საფრენი მოედანი გაფრენის აეროდრომისგან/საფრენი მოედნისგან უნდა იყოს დაშორებული სწორხაზოვნად არანაკლებ 28.78 კმ (15 NM) მანძილით;

შენიშვნა 1: პილოტის მომზადების სასწავლო პროგრამები, ზსხ-ის კატეგორიის შესაბამისად, განსაზღვრულია ამ წესის №20–22 დანართებით;

შენიშვნა 2: სადემონსტრაციო ან სხვა ტიპის ფრენა, რომელიც არ ხორციელდება სდ-ში სააგენტოსთან შეთანხმებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში, არ მიიჩნევა სასწავლო ფრენად.

დ) საფრენოსნო წვრთნის დასრულების შემდეგ, სდ-ის მიერ დანიშნული ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება.

შენიშვნა: უნარების შემოწმების საკითხები, ზსხ-ის კატეგორიის შესაბამისად, განსაზღვრულია ამ წესის №33–36 დანართებით.

4. ზსხ-ის განსხვავებულ კატეგორიაზე ოსტატობა მიიღება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) პილოტის მოწმობის მფლობელმა ზსხ-ის შესაბამისი კატეგორიისთვის, თეორიული ცოდნის საგნების ჩათვლის ცხრილის შესაბამისად, სდ-ში უნდა გაიაროს თეორიული ცოდნის საგნების სწავლება და ჩააბაროს თეორიული გამოცდები.

შენიშვნა: თეორიული ცოდნის საგნების ჩათვლის ცხრილი განისაზღვრება ამ წესის №19 დანართით.

ბ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საფრენოსნო წვრთნის საათები ფრენის ინსტრუქტორის გადაწყვეტილებით, შესაძლოა შემცირდეს სავალდებულო საფრენოსნო

წვრთნის საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-ით, გარდა ზსხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი საათების ოდენობისა;

გ) საფრენოსნო წვრთნის დასრულების შემდეგ, სდ-ის მიერ დანიშნულ ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 13. წყლის კლასის ოსტატობა

იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს თვითმფრინავის ან მოტოდელტაპლანის ხმელეთის (LAND) კლასის მოქმედ ოსტატობას, იმავე კატეგორიის ზსხ-ზე წყლის კლასის ოსტატობის (SEA) მისაღებად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) გავლილი უნდა ჰქონდეს თეორიული და საფრენოსნო მომზადება;

შენიშვნა 1: თვითმფრინავის წყლის კლასის მომზადების სასწავლო პროგრამა განისაზღვრება ამ წესის №23 დანართის შესაბამისად;

შენიშვნა 2: სასწავლო პროგრამის თეორიული ცოდნის ნაწილი გულისხმობს პირისთვის წყლის ზედაპირიდან ფრენის შესრულებასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების გაცნობას, რომლის შემოწმება, ფრენის შემმოწმებლის გადაწყვეტილებით, ხორციელდება უნარების შემოწმების განმავლობაში.

ბ) ფრენის ინსტრუქტორთან ერთად წყლის კლასის ორმაგსამართიან ზსხ-ზე გავლილი უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნა, თვითმფრინავისთვის არანაკლებ 8 სთ, ხოლო მოტოდელტაპლანისთვის - არანაკლებ 6 სთ;

გ) ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება.

შენიშვნა: უნარების შემოწმება უნდა განხორციელდეს თეორიული სწავლების დაწყებიდან არაუმეტეს 6 თვის პერიოდში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 13[1]. გაცნობითი და სხვაობათა სწავლება, ცოდნის განახლების სწავლება

1. თვითმფრინავის კატეგორიის შესაბამისი კლასის განსხვავებულ სახეობაზე საფრენოსნო ექსპლუატაციის განხორციელებამდე, პირმა უნდა გაიაროს გაცნობითი ან სხვაობათა სწავლება.

2. შვეულმფრენის კატეგორიის განსხვავებულ ტიპზე საფრენოსნო ექსპლუატაციის განხორციელებამდე, პირმა უნდა გაიაროს გაცნობითი ან სხვაობათა სწავლება, საექსპლუატაციო შესაბამისობის მონაცემების (OSD) შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ OSD გამოიყენება.

3. ავტოჟირის კატეგორიის კლასის განსხვავებულ სახეობაზე საფრენოსნო ექსპლუატაციის განხორციელებამდე, პირმა უნდა გაიაროს სხვაობათა სწავლება.

4. მოტოდელტაპლანის კატეგორიის შესაბამისი კლასის განსხვავებულ სახეობაზე საფრენოსნო ექსპლუატაციის განხორციელებამდე, პირმა უნდა გაიაროს გაცნობითი ან სხვაობათა სწავლება.

შენიშვნა: გაცნობითი სწავლება გულისხმობს ზსხ-ის განსხვავებულ ვარიანტზე დამატებითი თეორიული ცოდნის მიღებას, ხოლო სხვაობათა სწავლება გულისხმობს შესაბამის ზსხ-თან დაკავშირებით დამატებითი თეორიული ცოდნისა და საფრენოსნო წვრთნის მიღებას.

5. სხვაობათა სწავლება ხორციელდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მნიშვნელოვნად იცვლება საფრენოსნო ექსპლუატაციის არსებული პროცედურა(ები) ან/და ზსხ-ის აღჭურვილობა.

6. სხვაობათა სწავლებას ახორციელებს შესაბამისი ოსტატობის მქონე ფრენის ინსტრუქტორი, ხოლო სწავლების შედეგი აღინიშნება პილოტის საფრენოსნო წიგნაკში, რომელსაც ხელს აწერს ფრენის ინსტრუქტორი.

7. ცოდნის განახლების მიზნით სწავლება ხორციელდება შესაბამისი ოსტატობის მქონე ფრენის ინსტრუქტორის მიერ. ცოდნის განახლების სწავლების პროგრამა და მოცულობა განისაზღვრება ფრენის ინსტრუქტორის მიერ ინდივიდუალურად, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

ა) პილოტის საფრენოსნო გამოცდილება;

ბ) ოსტატობით მინიჭებული უფლებების უკანასკნელი გამოყენებიდან გასული დროის პერიოდი;

გ) სხვა კლასის ან ტიპის მოქმედი ოსტატობის ფლობა.

8. ცოდნის განახლების სწავლების დასრულების შემდეგ, სდ-მ უნდა გასცეს სწავლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ამ მუხლის მე-7 პუნქტში განსაზღვრული ფაქტორების შეფასების, განხორციელებული სწავლების და სწავლების წარმატებით გავლის დამადასტურებელ ინფორმაციას.

9. პირმა, საკვალიფიკაციო შემოწმების განხორციელებამდე, ცოდნის განახლების სწავლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი უნდა წარუდგინოს ფრენის შემმოწმებელს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 13^2. ზსხ-ის პილოტის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელი ცნობა

1. მოწმობის მფლობელმა პირმა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ სააგენტოს უნდა წარუდგინოს განახლებული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV–100/ა).
2. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV–100/ა) უნდა მოიცავდეს ნევროლოგიური, ოფთალმოლოგიური, ოტორინოლარინგოლოგიური, გულ-სისხლძარღვთა და სუნთქვის, ენდოკრინოლოგიური (შაქრიანი დიაბეტი – ჰიპოგლიკემიის რისკი) და მამოძრავებელი სისტემების კვლევას და კვლევის შესაბამის შედეგებს, ასევე ფსიქო-ემოციურ მდგომარეობას და ანამნეზში ინფექციურ დაავადებებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული კვლევებით არ უნდა დგინდებოდეს მწვავე და ქრონიკული დეკომპენსირებული დაავადებები.

4. იმ შემთხვევაში, თუ პირი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის პირობას, სააგენტო უფლებამოსილია, არ გასცეს მოწმობა და მოწმობასთან დაკავშირებული ოსტატობები, ასევე, საჭიროებისას, განსაზღვრული პერიოდით შეუჩეროს პირს მოწმობით მინიჭებული უფლებების გამოყენება ამ წესის მე-10 მუხლის შესაბამისად.

5. პირი უფლებამოსილია, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის (ფორმა №IV–100/ა) ნაცვლად, წარმოადგინოს I ან II კლასის სამედიცინო სერტიფიკატი.

შენიშვნა: I და II კლასის სამედიცინო სერტიფიკატი გაცემული უნდა იყოს ჩიკაგოს კონვენციის 1-ლი დანართის ან 2011 წლის 3 ნოემბრის ევროკომისიის რეგულაციის No 1178/2011 (Commission Regulation (EU) No 1178/2011) ANNEX IV (PART–MED)-ის პირობების ან „სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2019 წლის 8 იანვრის №4 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასამედიცინო ცენტრის და ავიასამედიცინო ექსპერტის სერტიფიცირების, ავიასპეციალისტის სამედიცინო სერტიფიცირების წესის“ შესაბამისად.

6. იმ შემთხვევაში, თუ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის ცვლილება იწვევს ან შესაძლოა, გამოიწვიოს ამ მუხლის მე-3 პუნქტის შეუსრულებლობა, მათ შორის, ამ მუხლის 1-ლი პუნქტში აღნიშნულ პერიოდში, პირი ვალდებულია არ გამოიყენოს მოწმობით მინიჭებული უფლებები, ვიდრე მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ დააკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნას.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 13^3. ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი

მოწმობის მფლობელი პირი უნდა ფლობდეს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) შესაბამის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს მინიმუმ B2 დონის მაჩვენებლით

ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს ICAO-ს შეფასების შკალის მიხედვით, მინიმუმ მე-4 დონის მაჩვენებლით.
შენიშვნა: ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ჩამონათვალი და მათი მოქმედების ვადა განისაზღვრება ამ წესის №37 დანართით.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 14. დამატებითი ოსტატობა
1. პლანერის/ბანერის ბუქსირების ოსტატობის მისაღებად, პილოტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
ა) ასაკი – არანაკლებ 18 წელი;

ბ) გამოცდილება – მოწმობის გაცემის შემდეგ შესაბამისი კლასის ან ტიპის ზსხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 30 სთ და შესრულებული ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 60 აფრენა და დაფრენა;

გ) თეორიული ცოდნა – ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს თეორიული სწავლება შესაბამისი მოცულობით;

დ) საფრენოსნო წვრთნა – ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნა, შესაბამისი მოცულობით. თვითმფრინავის კატეგორიაზე საფრენოსნო წვრთნის მიზნით უნდა განხორციელდეს, სულ მცირე, 10 ფრენა, მათ შორის, 5 ფრენა – ორმაგსამართიან ზსხ-ზე, 5 ფრენა – დამოუკიდებლად;

შენიშვნა: თვითმფრინავით პლანერის ბუქსირების სასწავლო პროგრამა განისაზღვრება ამ წესის №24 დანართის შესაბამისად.

ე) საფრენოსნო წვრთნის დასრულების შემდეგ, ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება.

2. ჰაერიდან შეწამვლის ოსტატობის მისაღებად, პილოტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ასაკი – არანაკლებ 18 წელი;

ბ) გამოცდილება – მოწმობის გაცემის შემდეგ, შესაბამისი კლასის ან ტიპის ზსხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 100 სთ და შესრულებული ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 200 აფრენა და დაფრენა;

გ) თეორიული ცოდნა – ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს თეორიული სწავლება შესაბამისი მოცულობით;

დ) საფრენოსნო წვრთნა – ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნა შესაბამისი მოცულობით;

ე) საფრენოსნო წვრთნის დასრულების შემდეგ, ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება.

3. პარაშუტისტის ჩამოგდების ოსტატობის მისაღებად პილოტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ასაკი – არანაკლებ 18 წელი;

ბ) გამოცდილება – პილოტის მოწმობის გაცემის შემდეგ, პირს შესაბამისი კლასის ან ტიპის ზსხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 50 საათი და შესრულებული ჰქონდეს ჯამში არანაკლებ 100 აფრენა და დაფრენა;

გ) თეორიული ცოდნა – ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს თეორიული სწავლება

შესაბამისი მოცულობით;

დ) საფრენოსნო წვრთნა – ფრენის ინსტრუქტორთან გავლილი უნდა ჰქონდეს საფრენოსნო წვრთნა შესაბამისი მოცულობით;

ე) ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს უნარების შემოწმება, რომლის განმავლობაშიც ხორციელდება პარაშუტისტის ჩამოგდების იმიტირება და თეორიული ცოდნის წარმოჩენა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

თავი IV
ინსტრუქტორის ოსტატობა, სასწავლო პროგრამები

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 15. ზოგადი დებულებები

1. ეს თავი ადგენს ავტოჟირის და მოტოდელტაპლანის ფრენის ინსტრუქტორის და უფროსი ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.
2. თვითმფრინავის და შვეულმფრენის ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანებით დამტკიცებული „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების“ შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 16. ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობა

1. ზსხ-ის ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მიღების მიზნით მომზადებაზე დაშვებისათვის, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
ა) ასაკი – არანაკლებ 18 წელი;

ბ) უნდა ფლონდეს პილოტის ეროვნულ მოწმობას ზსხ-ის მოქმედი ოსტატობით;

გ) უნდა წარმოადგინოს ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა №IV–100/ა);

დ) გამოცდილება – ზსხ-ზე, რომელზეც კანდიდატმა უნდა განახორციელოს ფრენის ინსტრუქტორის საქმიანობა, უნდა ჰქონდეს:

დ.ა) ავტოჟირზე – პილოტის მოწმობის მიღების შემდეგ კლასის სახეობაზე ნაფრენი არანაკლებ 150 სთ, მათ შორის, 100 სთ ზსხ-ის მეთაურის რანგში;

დ.ბ) მოტოდელტაპლანზე – პილოტის მოწმობის მიღების შემდეგ კლასის სახეობაზე ზსხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი არანაკლებ 100 სთ.

2. ზსხ-ის ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მიღება ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) კანდიდატი აკმაყოფილებს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ბ) თეორიული ცოდნა – კანდიდატს სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ სდ-ში გავლილი უნდა ჰქონდეს სწავლება ფრენის ინსტრუქტორის თეორიული ცოდნის საგნებსა და სწავლების ტექნიკაში შემდეგი მოცულობით:

ბ.ა) ავტოჟირი – არანაკლებ 125 სთ;

ბ.ბ) მოტოდელტაპლანი – არანაკლებ 40 სთ;

გ) საფრენოსნო წვრთნა – სდ-ში უფროს ფრენის ინსტრუქტორთან ერთად და მისი ზედამხედველობით შესაბამისი კატეგორიის ორმაგსამართიან ზსხ-ზე გავლილი უნდა ჰქონდეს საფრენოსნო მომზადება შემდეგი მოცულობით:

გ.ა) ავტოჟირი – არანაკლებ 20 სთ;

გ.ბ) მოტოდელტაპლანი – არანაკლებ 15 სთ.

შენიშვნა: ფრენის ინსტრუქტორის მომზადების სასწავლო პროგრამა განსაზღვრულია ამ წესის №25 დანართით.

დ) სდ-ის მიერ დანიშნულ უფროს ფრენის შემმოწმებელთან ზსხ-ზე ფრენის ინსტრუქტორის რანგში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მფლობელის შესაბამისი კომპეტენციის წარმოჩენით.

შენიშვნა 1: კომპეტენციის შეფასების შინაარსი, ზსხ-ის კატეგორიის შესაბამისად, განსაზღვრულია ამ წესის №26 დანართით.

შენიშვნა 2: კომპეტენციის შეფასება უნდა განხორციელდეს შესაბამისი კატეგორიის ზსხ-ზე, რომელიც გამოიყენება ფრენის ინსტრუქტორის საფრენოსნო წვრთნისათვის.

3. იმ შემთხვევაში, თუ პირი ფლობს მოტოდელტაპლანის ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობას და ახორციელებს ავტოჟირის ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მიღებას ან პირიქით, თეორიული ცოდნის საგნებიდან ჩაეთვლება:

ა) საჰაერო სამართალი;

ბ) ადამიანის შესაძლებლობები;

გ) მეტეოროლოგია;

დ) ნაოსნობა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 17. ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობით მინიჭებული უფლება

1. პირმა ფრენის ინსტრუქტორის საქმიანობა უნდა განახორციელოს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ფლობს ამ წესის საფუძველზე გაცემულ პილოტის ეროვნულ მოწმობას ზსხ-ის მოქმედი ოსტატობით;

ბ) ფლობს ფრენის ინსტრუქტორის მოქმედ ოსტატობას ზსხ-ის იმ კატეგორიის ოსტატობის აღნიშვნით, რომელზეც უნდა განახორციელოს საინსტრუქტორო საქმიანობა;

გ) უფლებამოსილია შესაბამის ზსხ-ზე მეთაურის რანგში განახორციელოს ფრენა.

2. ფრენის ინსტრუქტორი უფლებამოსილია:

ა) პილოტის მოწმობის მიღების, მოწმობასთან დაკავშირებული ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების და განახლების მიზნით, განახორციელოს საფრენოსნო წვრთნა ზსხ-ის შესაბამისი კატეგორიის კლასის სახეობაზე;

ბ) განახორციელოს საფრენოსნო წვრთნა ზსხ-ის შესაბამისი კატეგორიის, კლასის და კლასის სახეობის ოსტატობის მინიჭების/აღნიშვნის მიზნით;

გ) განახორციელოს საფრენოსნო წვრთნა დამატებითი ოსტატობის მინიჭების ან განახლების მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ფლობს იმ დამატებით ოსტატობას, რომლის სწავლებასაც ახორციელებს და უფროს ფრენის შემმოწმებელთან წარმოჩენილი აქვს აღნიშნული ოსტატობის სწავლების კომპეტენცია.

3. ზსხ-ის შესაბამისი კატეგორიის კლასის განსხვავებულ სახეობაზე ფრენის ინსტრუქტორის საქმიანობა უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ფრენის ინსტრუქტორს შესაბამის კლასის სახეობაზე, ზსხ-ის მეთაურის რანგში, გავლილი უნდა

ჰქონდეს გაცნობითი ან სხვაობათა სწავლება;

ბ) გამოცდილება – ფრენის ინსტრუქტორს ზსხ-ის მეთაურის რანგში შესაბამისი კლასის სახეობაზე ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 სთ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 18. უფროსი ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობა და უფლებამოსილება

1. უფროსი ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მიღება ხორციელდება შემდეგი პირობების დაცვით:

ა) კანდიდატი ფრენის ინსტრუქტორის მოქმედ ოსტატობას ფლობს არანაკლებ 3 წელი;

ბ) გამოცდილება – ფრენის ინსტრუქტორის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 400 სთ;

გ) უფროს ფრენის შემმოწმებელთან ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება.

შენიშვნა: უფროსი ფრენის ინსტრუქტორის კომპეტენციის შეფასების შინაარსი, ავტოჟირის კატეგორიისთვის განსაზღვრულია ამ წესის №28 დანართით.

2. უფროსი ფრენის ინსტრუქტორი, ზსხ-ის შესაბამისი კატეგორიის ფარგლებში, უფლებამოსილია, განახორციელოს საფრენოსნო წვრთნა ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის გაცემის, ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების ან განახლების მიზნით.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

თავი V
ფრენის შემმოწმებლის ოსტატობა, საკვალიფიკაციო მოთხოვნები

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 19. ზოგადი დებულებები

ეს თავი ადგენს ავტოჟირის და მოტოდელტაპლანის ფრენის შემმოწმებლის და უფროსი ფრენის შემმოწმებლის ოსტატობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 20. ფრენის შემმოწმებლის ოსტატობა და უფლებამოსილება

1. ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მისაღებად, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ფლობდეს ამ წესის საფუძველზე გაცემულ პილოტის ეროვნულ მოწმობას ზსხ-ის მოქმედი ოსტატობით;

ბ) ფლობდეს ფრენის ინსტრუქტორის მოქმედ ოსტატობას ზსხ-ის იმ კატეგორიაზე, რომელზეც უნდა განახორციელოს შემმოწმებლის საქმიანობა;

გ) დამატებით ავტოჟირის კატეგორიისთვის:

გ.ა) ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობას ფლობდეს არანაკლებ 3 წელი;

გ.ბ) გამოცდილება – ზსხ-ის მეთაურის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1000 სთ, საიდანაც ფრენის ინსტრუქტორის რანგში ნაფრენი - არანაკლებ 250 სთ;

დ) დამატებით მოტოდელტაპლანის კატეგორიისთვის:

დ.ა) ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობას ფლობდეს არანაკლებ 2 წელი;

დ.ბ) გამოცდილება – ფრენის ინსტრუქტორის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 200 სთ;

ე) უფროს ფრენის შემმოწმებელთან ზსხ-ზე ფრენის შემმოწმებლის რანგში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება, ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მფლობელის შესაბამისი კომპეტენციის წარმოჩენით.

2. ფრენის შემმოწმებელი უფლებამოსილია, განახორციელოს:

ა) უნარების შემოწმება პილოტის მოწმობის გაცემის მიზნით;

ბ) საკვალიფიკაციო შემოწმება, მოწმობაში ზსხ-ის კლასის ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების და განახლების მიზნით.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.

მუხლი 21. უფროსი ფრენის შემმოწმებლის ოსტატობა და უფლებამოსილება

1. უფროსი ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მისაღებად, კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ფლობდეს პილოტის ეროვნულ მოწმობას ზსხ-ის მოქმედი ოსტატობით;

ბ) ფლობდეს ფრენის ინსტრუქტორის მოქმედ ოსტატობას შესაბამისი კატეგორიის ზსხ-ზე;

გ) დამატებით ავტოჟირის კატეგორიისთვის:

გ.ა) გამოცდილება – ზსხ-ის ფრენის ინსტრუქტორის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1000 სთ;

დ) დამატებით მოტოდელტაპლანის კატეგორიისთვის:

დ.ა) გამოცდილება – ზსხ-ის ფრენის ინსტრუქტორის რანგში ნაფრენი უნდა ჰქონდეს არანაკლებ 600 სთ;

ე) ფლობდეს შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას, რაც უკავშირდება უფროსი ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მფლობელის უფლებამოსილებებს;

ვ) უფროს ფრენის შემმოწმებელთან ზსხ-ზე უფროსი ფრენის შემმოწმებლის რანგში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს კომპეტენციის შეფასება უფროსი ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მფლობელის შესაბამისი კომპეტენციის წარმოჩენით.

2. უფროსი ფრენის შემმოწმებელი, ზსხ-ის შესაბამისი კატეგორიის ფარგლებში, უფლებამოსილია განახორციელოს:

ა) ფრენის ინსტრუქტორის კანდიდატის კომპეტენციის შეფასება ფრენის ინსტრუქტორის ოსტატობის მიღების, ასევე, ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების და განახლების მიზნით;

ბ) ფრენის შემმოწმებლის კანდიდატის კომპეტენციის შეფასება ფრენის შემმოწმებლის ოსტატობის მიღების, ასევე, ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების/განახლების მიზნით;

გ) უფროსი ფრენის ინსტრუქტორის კანდიდატის კომპეტენციის შეფასება ინსტრუქტორის ოსტატობის მიღების, ასევე, ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების და განახლების მიზნით;

დ) უფროსი ფრენის შემმოწმებლის კანდიდატის კომპეტენციის შეფასება შემმოწმებლის ოსტატობის მიღების, ასევე, ოსტატობის მოქმედების ვადის გაგრძელების და განახლების მიზნით.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 28 ნოემბრის ბრძანება №258 - ვებგვერდი, 01.12.2022წ.